

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს  
ბატონ ალექსანდრე ლილუაშვილს  
საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის  
კომისიის თავმჯდომარის გელა ჩიკვაიძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ალექსანდრე,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში ჩატარდა 10 კომისიის სხდომა, აქედან ერთი რიგგარეშე, განხილულია 28 საკითხი. აქედან კომისიის სხდომაზე განხილული 28 საკითხიდან საკრებულოს სხდომაზე გატანილი იქნა 27 საკითხი. მირებული იქნა 4 განკარგულება და 18 დადგენილება.

საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმით ბიუროს სხდომაზე დამტკიცებულია შემდეგი საკითხები:

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივ და ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

(იანვარი- დეკემბერი)

2. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების და ქუჩების სახელდების შესახებ.

(იანვარი- დეკემბერი)

3. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ.

( თებერვალი - მარტი.)

4. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე- ქალაქ ვანის ქუჩებსა და სკვერებში, ასევე ვანის მუნიციპალიტეტში შემავალი თემების/სოფლების ადმინისტრაციულ ცენტრებში, სკვერებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოლის აკრძალვის წესის დამტკიცების და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

( აპრილი - ივნისი.)

5. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილის განსაზღვრის და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ.

( ივლისი - სექტემბერი)

6. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ.

( ოქტომბერი-დეკემბერი)

7. 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

( ნოემბერი-დეკემბერი)

8. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივი აქტების შესრულების შესახებ.

(იანვარი-დეკემბერი)

**მოსასმენი და განსახილველი ანგარიშები:**

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

2. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიში 2019 წელში სარეზერვო ფონდით გაწეული ხარჯების შესახებ.

3. ვანის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

4. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

5. ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და მერიის სამსახურების ანგარიშები გაწეული მუშაობის შესახებ

6. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

#### **აქედან განხილულია შემდეგი საკითხები. კერძოდ:**

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის №29 დადგენილებით დამტკიცებულ „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

3. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებით დამტკიცებულ დანართი N1-ის სათაურში და „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხაში“ (დანართი N2-ში) ცვლილების შეტანის შესახებ.

4. ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

5. ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე.

6. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N65 დადგენილებით დამტკიცებულ „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის დებულებაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

7. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N67 დადგენილებით დამტკიცებულ „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულებაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

8. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

9. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილება .

10. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 თებერვლის N10 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

11. ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მოსმენა.

12.ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წლის განმავლობაში გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

13.„ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

14. „ვანის მუნიციპალიტეტის საშუალო ვადიანი განვითარების დოკუმენტი (2020-2023)“-ის დამტკიცების შესახებ.”

15.ვანის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

16.ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის №29 დადგენილებით დამტკიცებულ „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

17.ვანის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 მაისის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

18.ვანის მუნიციპალიტეტის შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ შუამთას N11 ქუჩისათვის ლადო სულაბეიძის სახელის მინიჭების შესახებ.

19.ვანის მუნიციპალიტეტის შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ შუამთას N17 ქუჩისათვის გიორგი ნაფეტვარიძის სახელის მინიჭების შესახებ.

კომისიის სხდომების რაოდენობა მეტი იქნებოდა, რომ არა პანდემიის გამო შექმნილი ვითარება.

კომისია შედგება 9 წევრისგან, რომლებიც სისტემატიურად ესწრებიან კომისიის სხდომებს.